ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი N 11

ბათუმი **11.05.2023**

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭომ, რიგით მეთერთმეთე სხდომაზე, რომელიც გაიმართა, ამა წლის 11 მაისს, განიხილა შემდეგი საკითხი:

საკითხი 1. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია - „მე ომბუდსმენი“-ს წერილი განსახილველად.

საკითხი 2. წერილი "რეცეპტორის ფესტივალის" ორგანიზატორებისგან, (კულინარიული ფესტივალია) ფესტივალის გამართვის დღეებში ძველი ბათუმის სანაპირო ზოლში ტერიტოროის გამოყოფის თაობაზე.

საკითხი 3. ბათუმის ბენდების წერილი, სარპეტიციო სივრცის გამოყოფის თაობაზე.

საკითხი 4. შპს „უნივერსალური სტუდია ბათუმი“-ს წერილი მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით შესყიდვის თაობაზე.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების უმრავლესობამ მოსაზრებები შეაჯერა შემდეგ საკითხებზე:

საბჭოს სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ბათუმის საზღვაო აკადემისს სტუდენტ ალექსანდრე შერვაშიძის ნაცვლად ამავე აკადემიის სტუდენტ ანრი სურმანიძის საბჭოში შემოსვლის საკითხს.

საკითხი 1. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია - „მე ომბუდსმენი“-ს წერილი განსახილველად.

წერილში დასმულია საკითხი, სადაც ავტორი მიუთითებს რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებშია მერის მრჩეველთა საბჭოებში არ არის სტატისტიკურად წარამოდგენილი შშმ პირები, რომელიც იქნება მათი რაიონის შშმ პირთა სხვადასხვა პრობლემების ძირითადი გამხმოვანებელი. პასუხად ვთვლით, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში შშმ პირთა სხვადასხვა პრობლემების საკითხებს აქტიურად სვამს ბ-ნი რამინ მაჭარაშვილი - ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ დამფუძნებელი და გამგეობის წევრი;

წერილში ასევე ნახსენებია ბათუმში შშმ პირებისთვის პარკირების სპეციალური ადგილებზე, მანიშნებლების, ამკძალავი ნიშნების ან არასებობის შესახებ, ან თუ პარკირების ადგილი გამოყოფილა, ურჩი მძღოლების მიერ დაკავებული

ადგილების დამატებითი მონიტორინგის საჭიროებაზე. მრჩეველთა საბჭოს წევრების მოსაზრებით დამატებით მონიტორინგის წარმოება მუნიციპალური სამსახურიდან ნამდვილად გააუმჯობესებდა ამ სიტუაციას. ამ საკითხის შესახებ საბჭო გასცემს შესაბამის რეკომენდაციას.

საკითხი 2. წერილი "რეცეპტორის ფესტივალის" ორგანიზატორებისგან, (კულინარიული ფესტივალია) ფესტივალის გამართვის დღეებში ძველი ბათუმის სანაპირო ზოლში ტერიტოროის გამოყოფის თაობაზე.

ფესტივალის ორგანიზატორების განმარტებით მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, ვეღარ ახერხებენ ფესტივალში მონაწილეობის მსურველი კვების ობიექტებისა და სტუმრების განთავსებას ძველ ტერიტორიაზე. ამ მიზეზით მათ მიერ მოთხოვნილია ნებართვა ფესტივალის ტერიტორიის გააფართოებასთან და სხვა ლოკაციაზე გადატანასთან დაკავშირებით. კერძოდ ძველი ბათუმის სანაპირო ზოლში. სხდომაზევე მოხდა ფესტივალის ორგანიზატორთან დაკავშირება და მათ განემარტათ რომ სანაპირო ზოლის დათმობის ნებართვა უნდა გამოითხოვონ ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციიდან, შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიაზე ნებართვის გაცემის უფლების არსებობის შემთხვევაში.

საკითხი 3. ბათუმის ბენდების წერილი, სარეპეტიციო სივრცის გამოყოფის თაობაზე.

მრჩეველთა საბჭოს წევრების სახელზე შემოვიდა წერილი მუსიკოსების ნიკო და გიორგი ბერიძეებისგან, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ სარეპეტიციო სივრცის არარსებობის გამო,

ძალიან ურთულდებათ შემოქმედებით საქმიანობა. შესაბამისად ქალაქ ბათუმის მერიას სთხოვენ ამ საკითში მხარდაჭერას, რომ მოხერხდეს მუნიციპალური ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემა სარეპეტიციო სივრცის მოსაწყობად. საბჭოს წევრის ქალბატონ რუსუდან შავიშვილის განმარტებით, ეს რეალური პრობლემაა ბათუმში მოქმედი მუსიკალური ბენდებისთვის. საბჭოს სხვა წევრების აზრითაც, მიზანშეწონილია მოხდეს მუნიპალურ ბალანსზე არსებული რომელიმე ფართის გამოძებნა და დროებით სარგებლობაში გადაცემა. ფართის გამოძებნის შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს შესაბამისი გრაფიკის შედგენა და ბათუმში მოქმედმა მუსიკალურმა ბენდებმა, დროის გადანაწილებით, მორიგეობით მოახერხონ რეპეტიცია, რაც მნიშვნელოვანია მათი არსებობისთვის.

საკითხი 4. შპს „უნივერსალური სტუდია ბათუმი“-ს წერილი მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით შესყიდვის თაობაზე.

მერის მრჩეველთა საბჭოს წევრების სახელზე შემოვიდა წერილი, რომელშიც შპს „უნივერსალური სტუდია ბათუმი“ ითხოვს ბათუმში, მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით შესყიდვის ნებართვას. ავტორს განემარტა, რომ მრჩეველთა საბჭოს კომპეტენციებს სცდება მსგავსი საკითხების განხილვა, ამიტომ მიზაშეწონილია მიმართონ შესაბამის უწყებებს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სარეგისტრაციო ფურცელი

მრჩეველთა საბჭოს წევრები

11.05.2023

	სახელი გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1	აფხაზავა ირმა	[illegible]	[illegible]
2	აფხაზავა ნათია		
3	გუდავა თამარ	[illegible]	[illegible]
4	თურმანიძე თამაზ	[illegible]	[illegible]
5	ინაიშვილი ნინო		
6	კვირიკაძე მაყვალა	[illegible]	[illegible]
7	ლორია მანუჩარ	[illegible]	[illegible]
8	მაჭარაშვილი რამინ		
9	მეიშვილი თამილა		[illegible]
10	ნაკაშიძე ლაშა		
11	ქათამაძე ციური		
12	ქობულაძე დავით		
13	შავიშვილი რუსუდან	[illegible]	[illegible]
14	~~შერვაშიძე ალექსანდრე~~ ანი სურმანიძე	[illegible]	[illegible]